ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1902022

ნომერი: AR1309371

თარიღი : 13.05.2015

გაცემის თარიღი : 18.05.2015

გაცნობის თარიღი : 18.05.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იანა შატბერაშვილი პ/ნ 35001120330
- რუსთავი პ.თოდრიას I ჩიხი კორ. 3 ბ. 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილების „ ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის I პუნქტის მიხედვით, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად. ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის მიხედვით ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში მდებარე მიწა არის სამშენებლოდ შეზღუდული სტატუსის მქონე. ფუნქციური ზონიდან გამომდინარე, რადგანაც მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა–ნაგებობები არ განეკუთვნება გასართობი ღია სეზონური კაფეს მოწყობას შეუძლებელია აღნიშნულზე გაიცეს დადებითი წერილობითი თანხმობა.

აქვე გაცნობებთ, რომ საჭიროა პირველ რიგში საკითხი გაიტანოთ ზონალურ საბჭოზე ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით და საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოითხოვოთ აღნიშნული სამუშაოების განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.